კომპანიის სახელწოდება: შპს „მალე დელივერი“

რეგისტრირებული მისამართი: თბილისი, ვაკის რაიონი, შალვა ნუცუბიძის ქუჩა, N 211, კორპუსი 2, მეოთხე სართული

საგადასახადო საიდენტიფიკაციო ნომერი: 405660422

ტელეფონი: +995 591 61 77 99

შპს„მალე დელივერი“-ს ვებსაიტი, მობილურ აპლიკაცია და მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საიტი წარმოადგენს შპს-ს საკუთრებას და ხელმისაწვდომია მომხმარებელთათვის.

შპს „მალე დელივერ“-ს ტექნოლოგიური პლატფორმის (აპლიკაციის) მეშვეობით შეუძლია დახმარება გაუწიოს მომხმარებლებს გარკვეული დავალებების, მომსახურების შეძენაში, პროდუქტების პირადად შეძენასა და/ან აღებაში ადგილობრივი მოვაჭრეებისგან. საიტს ან აპლიკაციაზე წვდომით და პროფილის ნებაყოფლობითი შექმნით, ყველა მომხმარებელი და მოვაჭრე ეთანხმება შპს „მალე დელივერი“-ს ძირითად წესებსა და პირობებს, ასვე შპს-ს „კონფიდენციალურობის პოლიტიკასა“. ნებისმიერი მომხმარებელი, ან მოვაჭრე, რომელიც არ ეთანხმება შპს „მალე დელივერი“-ს წესებსა და პირობებს თავი უნდა შეიკავონ აპლიკაციის გამოყენებისგან.

რეგისტრაციისათვის საჭირო ძირითადი მოთხოვნები:

იმისათვის, რომ გახდეთ შპს „მალე დელივერის “ აპლიკაციის მომხმარებელი, უნდა აკმაყოფილებდეთ შემდეგი მოთხოვნებს:

1. უნდა იყოს სულ მცირე 18 წლის;

2.კეთილსინდისიერად შეავსოს სარეგისტრაციო ფორმის სავალდებულო ველები, რომლებიც მოითხოვს პერსონალურ ინფორმაციას, როგორიცაა მომხმარებლის სახელი, ელფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი და საბანკო ბარათის ნომერი;

3.აპლიკაციაზე შესვლის დროს, ვალდებული ხართ ყურადღებით გაეცნონ წესებსა და პირობებს. წესებისა და პირობების მიღება მნიშვნელოვანი ნაბიჯია, რომელიც რეგისტრაციამდე უნდა გადაიდგას;

4.მომხმარებლები უნდა დაეთანხმონ „კონფიდენციალურობისა და მონაცემთა დაცვის პოლიტიკას“;

5.მომხმარებლები უნდა დაეთანხმონ ეთიკისა და საქმიანი ქცევის სტანდარტებს;

ვებ გვერდზე რეგისტრაციისას, უნდა შეარჩიოთ მომხმარებლის სახელი და პაროლი. მომხმარებლის მიერ შერჩეული სახელი და პაროლი მკაცრად კონფიდენციალური, პირადი და არაგადაცემადია.(შპს„მალე დელივერი“-ს რჩევა: მომხმარებლებმა არ გამოიყენოთ იგივე მონაცემები, რომელსაც სხვა პლატფორმებზე წვდომისთვის იყენებთ). შპს „მალე დელივერი“ არ იძლევა ანგარიშის ან პროფილის უსაფრთხოების გარანტიას.

რეგისტრაციის დასასრულებლად, უნდა წარმოადგინოთ შემდეგი მონაცემები: მომხმარებლის სახელი, ელფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი, საბანკო ბარათის რეკვიზიტები. ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილებისა და რეგისტრაციის დასრულებისთანავე შპს მომხმარებელს მიაწვდის ინფორმაციას რეგისტრაციის დასრულების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაციასთან ერთად. რეგისტრაციის პროცესის დასრულების შემდეგ, მომხმარებელს მიეცემა შესაძლებლობა, ქონდეს წვდომა და სურვილისამებრ შეცვალოს საკუთარი პროფილი. შპს „მალე დელივერი“არ ინახავს მომხმარებელთა გადახდის მონაცემებს, რომელთა დამუშავება და შენახვა ხდება გადახდის მომსახურების მიმწოდებლის მიერ.

მომხმარებელი იძლევა გარანტიას, რომ აპლიკაციისთვის სარეგისტრაციო ფორმის შევსების დროს შპს -ს მიაწოდა სწორი, ზუსტი და სრულყოფილი ინფორმაცია საკუთარი პიროვნებისა და ქმედუნარიანობის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი წარმოადგენს მცდარ, არაზუსტ ან არასრულ ინფორმაციას, ან თუ შპს „მალე დელივერი“ გადაწყვეტს, რომ არსებობს ინფორმაციის სისწორეში, სიზუსტეში ეჭვის შეტანის საფუძველი, შპს-მ შეიძლება არ დაუშვას მომხმარებლის მიერ აპლიკაციის ან მისი ნებისმიერი კონტენტის ან/და მომსახურების როგორც ამჟამინდელი, ისე სამომავლო გამოყენება.

მომხმარებელი ვალდებულია არ გაუზიაროს პირადი ანგარიშის დეტალები და არ მისცენ მასზე წვდომა მესამე პირებს. მომხმარებელი პასუხისმგებელია მესამე პირთა მიერ საიტის მომსახურებათა გამოყენების ნებისმიერ შემთხვევაზე ან ნებისმიერ სხვა ქმედებაზე, რომელიც განხორციელდება მომხმარებლის სახელითა და პაროლით. მომხმარებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს შპს „მალე დელივერი“-ს, თუ მოხდა მისი ანგარიშის მონაცემების მოპარვა, გამჟღავნება ან დაკარგვა.

მომხმარებლის პასუხისმგებლობა:

მომხმარებელი ვალდებულია იმოქმედოს მოქმედი კანონმდებლობის, კეთილსინდისიერების, ზნეობის, საზოგადოდ მიღებული ჩვეულებებისა და საჯარო წესრიგის პრინციპების შესაბამისად. მომხმარებელი წარმოადგენს მის მიერ აპლიკაციაზე შეყვანილი კონტენტის ერთპიროვნულ მესაკუთრეს.

შპს „მალე დელივერი“ იხსნის პასუხისმგებლობას მომხმარებლის მიერ შპს-ს აპლიკაციაზე გამოთქმულ მოსაზრებებთან დაკავშირებით, შედეგებზე პასუხისმგებლობა ეკისრება გამომთქმელს.

მომხმარებელი ვალდებულია, არ გამოიყენოს საკუთარი პროფილი და ვებ გვერდი არაკანონიერი მიზნებისათვის, რაც დაარღვევს მესამე პირთა უფლებებსა და ინტერესებს, ან რამაც შეიძლება დააზიანოს, მწყობრიდან გამოიყვანოს, ავნოს ან გააფუჭოს ვებ გვერდი და მომსახურებები.

მომხმარებელს ეკრძალება, ხელი შეუშალოს სხვა მომხმარებელს ვებ გვერდით სარგებლობაში.

ზემოაღნიშნული ვალდებულებების დამრღვევი ნებისმიერი პირი პასუხისმგებელია მის ქმედებით გამოწვეულ დანაკარგსა და ზიანზე.

შპს „მალე დელივერი“ თავისუფლდება ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან მესამე პირთა მიერ უკანონო გამოყენების ან შეღწევის შედეგად წარმოქმნილ დანაკარგსა თუ ზიანზე.

მომხმარებელი ვალდებულია :

1.თავი შეიკავოს ვებ გვერდის შეცვლისგან, სრულად ან ნაწილობრივ, მისი ფუნქციების ან მომსახურებების გვერდის ავლით, მწყობრიდან გამოყვანით ან რაიმე სხვა გზით ხელყოფით;

2.თავი შეიკავოს სამრეწველო, ინტელექტუალური საკუთრების ან პერსონალური მონაცემების დაცვის კანონმდებლობის დარღვევისგან;

3.თავი შეიკავოს ვებ გვერდის გამოყენების დროს სხვა მომხმარებლების შეურაცხყოფის, ცილისწამების, დაშინების, შევიწროების ან მასზე თავდასხმისათვის;

4.თავი შეიკავოს სხვა მომხმარებელს ელფოსტის ანგარიშზე წვდომისაგან;

5.თავი შეიკავოს კომპიუტერული ვირუსების, დაზიანებული ფაილების ან სხვა პროგრამის დანერგვისგან, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სისტემის დაზიანება ან შეცვლა;

6. თავი შეიკავოს სხვა მომხმარებლებისათვის მასობრივი ან პერიოდული ელფოსტების გაგზავნით, ან მესამე პირთათვის ელფოსტის მისამართის გაგზავნისგან, ამ უკანასკნელთა თანხმობის გარეშე;

5.თავი შეიკავოს საქონლისა და მომსახურების რეკლამირებისგან, შპს „მალე დელივერთან“ თანხმობის გარეშე;

მომხმარებელს უფლება აქვს უჩივლოს სხვა მომხმარებელს, თუ დარწმუნებულია, რომ ეს უკანასკნელი არღვევს შპს -ს მომსახურების და კონფიდენციალურობის პოლიტიკის ძირითად წესებსა და პირობებს.

მომხმარებელი ვალდებულია შპს-ს მიაწოდოს ინფორმაციას წინამდებარე წესების ბოროტად გამოყენების ან/და რღვევის შესახებ.

შპს „მალე დელივერი“ მომხმარებელთა მიერ წარმოდგენილ საჩივრებს შეძლებისდაგვარად შეამოწმებს მოკლე ვადაში და გადადგამს ნაბიჯებს, რასაც მიზანშეწონილად ჩათვლის. შპს უფლებას იტოვებს, წაშალოს ან/და შეაჩეროს ნებისმიერი მომხმარებლის ანგარიში აპლიკაციიდან,მომხმარებლის მიერ ძირითადი წესებისა და პირობების დარღვევის შემთხვევაში.

  შპს უფლებამოსილია წინასწარი გაფრთხილების ან შეტყობინების გარეშე, წაშალოს, შეაჩეროს ნებისმიერი შეტყობინება, რომელიც შეიცავს უკანონო ან შეურაცხმყოფელ კონტენტს(კომენტარს).

მომხმარებლის შეფასებები:

შპს „მალე დელივერ“-მა შეიძლება შეაგროვოს მომხმარებელთა მიმოხილვები, რომლებიც დაკავშირებულია მათ მიერ შემოთავაზებულ პროდუქტებსა ან მომსახურებებთან. შპს უფლებამოსილია, გამოაქვეყნოს აღნიშნული მიმოხილვები აპლიკაციაში და გახადოს ისინი ხელმისაწვდომი სხვა მომხმარებლისთვის. მიმოხილვები შეიძლება შეზღუდული იყოს სიმბოლოების გარკვეული რაოდენობით. მომხმარებელი ვალდებულია, დატოვოს მიმოხილვები, რომლებიც არ არის შეურაცხმყოფელი, სალანძღავი,ცრუ, დისკრიმინაციული და ა.შ. კომპანიის, მოვაჭრის ან სხვა მომხმარებლისათვის.

შპს „მალე დელივერი“ უფლებამოსილია გაფილტროს და წაშალოს ნებისმიერი მიმოხილვა, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს შეურაცხმყოფლად ან ეწინააღმდეგება კანონსა და საჯარო წესრიგს.

საკრედიტო ბარათის ქურდობა ან მითვისება:

შპს „მალე დელივერ“-ს არ შეუძლია დარეგისტრირებული მომხმარებლის“ იდენტურობის გარანტირება. მომხმარებელი ვალდებულია მიაწოდოს ინფორმაცია ან იმის მტკიცებულება, რომ შპს-ს ანგარიშთან დაკავშირებული ბარათი მოპარულია ან/და მისი გამოყენება თაღლითურად ხორციელდება მესამე პირის მიერ. შპს ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რათა დაბლოკოს შემდგომი გადახდები.

  შპს „მალე დელივერი“ პასუხისმგებელი არ არის ბარათის თაღლითურ გამოყენებაზე, რომელიც შეიძლება განხორციელდეს მესამე პირთა მიერ მომხმარებლის ანგარიშზე. შპს ვალდებული შეატყობინონ პოლიციას ქურდობის, ძარცვის ან მომხმარებლის საკრედიტო ბარათის სავარაუდო არამიზნობრივი გამოყენების ფაქტის შესახებ. შპს ითანამშრომლებს ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოებთან არასწორად ჩამოჭრილ თანხასთან დაკავშირებული მტკიცებულებების გაზიარების კუთხით.

თაღლითობის შემთხვევაში, შპს უფლებამოსილია განახორციელოს შესაბამისი ქმედება, თუ აპლიკაციის კანონსაწინააღმდეგო გამოყენებამ გავლენა იქონია მასზე.

მომხმარებლის ანგარიშის რეგისტრაციის გაუქმება და ანულირება:

მომხმარებელს შეუძლია, ნებაყოფლობით გააუქმოს რეგისტრაცია აპლიკაციიდან, აპლიკაციის „დახმარების“ ველის გამოყენებით.

შპს უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს მომხმარებლის ნებისმიერი ანგარიში აპლიკაციაზე თუ შეამჩნევს, რომ მომხმარებელმა შეწყვიტა რეგისტრაციისთვის ძირითადი მოთხოვნის შესრულება ან მომხმარებლის მიერ აპლიკაციის თაღლითური ან უკანონო გამოყენების ეჭვის შემთხვევაში.

შპს აპლიკაციაზე წვდომით მომხმარებელს საშუალებას ეძლევა გააკეთოს სხვადასხვა ტიპის შეკვეთები. აპლიკაციის დახმარებით მომხმარებელი სთხოვოს შპს-ს შეასრულოს დავალებები, შეიძინოს პროდუქტები მისი სახელით, შეაგროვოს და მიიტანოს ისინი მითითებულ მისამართებზე.

მომხმარებლებს აპლიკაციის საშუალებით აქვთ წვდომა marketplace-ზე ,შეუძლიათ შეიძინონ პროდუქტები ან მომსახურებები, რასაც სთავაზობენ მათ მოვაჭრეები, რომლებმაც შპს- თან თანამშრომლობის ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი.

მომხმარებელი თანხმდება, რომ შპს „მალე დელივერი“-ს აპლიკაციაზე არსებული ყველა პროდუქტი ექვემდებარება ხელმისაწვდომობას.

მომხმარებელი ასევე, ეთანხმება შესაძლებლობას, რომ შეკვეთის განხორციელების პროცესში, შესაძლოა, პროდუქტი ან/და მომსახურება დაწესებულებაში ხელმიუწვდომელი აღმოჩნდეს.

შპს პასუხისმგებელი არ არის მომხმარებლის წინაშე მოვაჭრეების მიერ შეთავაზებული პროდუქტების ხარისხსა და მახასიათებლებზე. პასუხისმგებლობა ეკისრება მოვაჭრეს მათ მიერ შეთავაზებული პროდუქტების ხარისხსა და მახასიათებლებზე.

შპს“მალე დელივერ“-ს შეუძლია, ნებისმიერ დროს ცალმხრივად ჩართოს, გამორთოს, შეიტანოს ან/და დაამატოს ფუნქციები, რომელიც დაკავშირებულია წასაღებ და ობიექტზე ასაღებ შეკვეთებთან, მომხმარებელთან წინასწარი შეტყობინებით, როგორც ამას მოქმედი კანონმდებლობა მოითხოვს.

აპლიკაციის საშუალებით მიწოდებულ მომსახურებათა ფასები

მომხმარებელი აპლიკაციაში რეგისტრირდება უფასოდ. მომხმარებლებს შეიძლება მოუწიოს კონკრეტულ მომსახურებათა ღირებულების გადახდა აპლიკაციაზე. შპს „მალე დელივერი“ უფლებას იტოვებს, შეცვალოს ფასები აპლიკაციაში, მომხმარებლების ინფორმირებით, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად. ნებისმიერი სახის ცვლილებები ძალაში შედის მისი შპს საიტზე გამოქვეყნებისთანავე.

შპს „მალე დელივერი“-მა აპლიკაციით სარგებლობისთვის მომხმარებელს შეიძლება დააკისროს მომსახურების გადასახადი, რომელიც ხელს შეუწყობს შპს-ს მომსახურებების ზოგადი ხარისხის გაუმჯობესებას, სავაჭრო ობიექტების ფართო არჩევანის შეთავაზებას, მომხმარებლისათვის კომფორტული გარემოს შექმნასა და სხვა. პროდუქტების ღირებულების მიხედვით, მომსახურების გადასახადის ოდენობა შეიძლება იყოს ფიქსირებული ან ცვლადი. შპს ადგენს მომსახურების საფასურს და მას ხდის ხილულს მომხმარებლისათვის თითოეული შეკვეთისთვის ანგარიშსწორებისას. მომსახურების გადასახადი ჩამოიჭრება იმ საკრედიტო ბარათით, რომელიც მომხმარებელმა შეკვეთის ღირებულების გადასახდელად აირჩია. თუ მომხმარებელი ნაღდი ფულით გადახდის ვარიანტს ირჩევს, მომსახურების გადახდა დაეკისრება ნაღდი ფულის სახით. ნაღდი ფულით გადახდის შემთხვევაში შპს-ს უფლებამოსილია, მოახდინოს თანხის დაკავება მომხმარებლის ბარათიდან, სანამ არ განხორციელდება გადახდა პროდუქტის მიტანის მომენტში ან/და მიტანის ადგილზე დავალების დასრულებამდე. თუ გადახდა არ განხორციელდა, შპს იტოვებს უფლებას, მოახდინოს ჩამოჭრა ბარათიდან, რომელზეც თანხა იყო დაკავებული.

მომსახურების საფასურის გარდა მომხმარებელმა უნდა გადაიხადოს აპლიკაციის საშუალებით მოთხოვნილი პროდუქტების და მომსახურებების გადასახადი. ცუდი ამინდის პირობებში, მაღალი მოთხოვნის ან ნებისმიერი სხვა მდგომარეობის შემთხვევაში, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მიტანის მომსახურებების გაწევაზე მომხმარებელს შეიძლება მოუწიოს გაზრდილი საფასურის გადახდა აღნიშნული მომსახურებებისთვის. მიტანის მომსახურების ღირებულება შეიძლება შეიცვალოს ფორსმაჟორული სიტუაციის შესაბამისად.

შეკვეთების შემთხვევაში, თითოეული მომსახურების ღირებულება შეიძლება შეიცვალოს, გავლილი მანძილის ან დღის იმ დროის შესაბამისად, რომლის განმავლობაშიც მოხდა მომსახურების გაწევა. მომხმარებელი უფლებამოსილია, იცოდეს მომსახურების მიახლოებითი ღირებულება შეკვეთამდე და სანამ გადაიხდის ღირებულებას.

ვებ გვერდზე შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურებების ფასი

შპს „მალე დელივერი“ ვებ გვერდზე თითოეული მომსახურებისა და პროდუქტისათვის დადგენილია შესაბამისი ფასები. შპს პერიოდულად მოახდენს აპლიკაციაში ფასები განახლებას. შპს პასუხისმგებელი არ არის მოვაჭრის მიერ აპლიკაციაში მითითებული და მის მიერ დადგენილი ფასის სხვაობაზე, ფასის ცვალებადობაზე პასუხისმგებელია მოვაჭრე.

შპს აპლიკაციაში არსებული ნებისმიერი ფასი მოიცავს ყველა იმ გადასახადს, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნას იმისდა მიხედვით, თუ რომელ ტერიტორიაზეა მომხმარებელი, მომსახურების გადასახადი უნდა იყოს იმ ვალუტაში, რომელიც ძალაშია და გამოიყენება.

მომხმარებელი აღიარებს, რომ მოვაჭრეების მიერ აპლიკაციაში მითითებული პროდუქტებისა და მომსახურებების ფასები ყოველთვის არ შეიძლება მოიცავდეს მათი შეფუთვის ფასს, რომელიც ცალკე შეიძლება დაერიცხოს მომხმარებელს, თუ ამას მოქმედი კანონმდებლობა ან/ და სტანდარტები მოითხოვს. მომხმარებელი აღიარებს, რომ ცალ-ცალკე შეიძლება ჩამოეჭრას ნებისმიერი პლასტიკური შეფუთვის ფასი, რომელიც თან ახლავს მის შეკვეთას.

გადახდის მეთოდები:

მომხმარებელს აპლიკაციის მეშვეობით შეუძლია, პროდუქტის ან მომსახურების საფასური გადაიხადოს ნაღდი ანგარიშსწორებით ან საკრედიტო ბარათით. შეკვეთის დროს, მომხმარებელს ეცნობება მოცემულ ტერიტორიაზე გადახდის ხელმისაწვდომი მეთოდის შესახებ.

საკრედიტო ბარათით გადახდა: საკრედიტო ბარათით გადახდის შემთხვევაში, მომხმარებელი ვალდებულია, ბარათის რეკვიზიტები შეიყვანოს აპლიკაციაში, როგორც მის ანგარიშთან დაკავშირებული გადახდის მეთოდი. შპს საკუთარ სერვერზე არ ინახავს ბარათის რიცხვებს და მხოლოდ ბოლო ოთხი ციფრის დანახვა შეუძლია. სრული ინფორმაცია ინახება გადახდის პლატფორმის სერვერებზე, რომლის მეშვეობითაც ხდება გადახდები. თუ გადახდა შეუძლებელია შერჩეული გადახდის მეთოდის გამოყენებით, მომხმარებელი შეუძლია აწარმოოს ნებისმიერი სხვა საკრედიტო ან სადებეტო ბარათიდან.

ნაღდი ფულით გადახდა: მომხმარებელს შეუძლია ნაღდი ფულით ანგარიშსწორება. ნაღდი ანგარიშსწორების შემთხვევაში, შპს უფლებამოსილია, მომხმარებლის ბარათიდან დააკავოს თანხა, სანამ მომხმარებლის მიერ პროდუქტის ადგილზე მიტანის მომენტში არ მოხდება თანხის სრულად დაფარვა. თუ მომხმარებლის მიერ არ განხორციელდა გადახდა, შპს უფლებას იტოვებს,მომხმარებლის ბარათიდან მოახდინოს დაკავებული თანხის ჩამოჭრა.

მომხმარებლის მიერ შპს-თვის მომსახურების საფასურს რაიმე მიზეზით არ გადაიხდის შემთხვევაში მოხდება მომხმარებლის ანგარიში დაბლოკვა სანამ არ გამოსწორდება სიტუაცია და არ მოხდება დავალიანების გადახდა.